**რედაქცია**

განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ა[illegible]უნის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## საქართველო

### თფილისის სახელოსნო უპრავა

ძლივს ერთხელ ამოიღო ხმა ჩვენმა თფილისის ლიტერატურამ თფილისის ხელოსნების საქმეებზედ!

ცხრა წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც თფილისის ხელოსნებს მიენიჭათ საკუთარი გამგეობა, თვითმართებლობა და ამ დროს განმავლობაში მე არ მახსოვს, რომ ჩვენ ლიტერატურაში როდესმე ყოფილიყოს რამ იმაზედ, თუ როგორა ჰმართავდნენ ხელოსნები თავიანთ საქმეებს. ამ საგანზედ ძლივს „დროებამ“ ამოიღო ხმა ამ წლის 19 ნომერში.

რას უნდა მივაწეროთ ჩვენი გაზეთების ასეთი ყურის მიგდება ამ საგნის შესახებ? განა იმას, რომ ამ დაწესებულებაში ვითომც არა იპოვება-რა მისი ყურადღების ღირსი? ვითომც მასში მომხდარ ბოროტმოქმედებას არავითარი გავლენა არა ჰქონდეს და მის გაუმჯობესობას ანუ საქმეების წესიერად წარმოებას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს, არათუ მარტო ხელოსნებისათვის, არამედ მთელი თფილისისა და თვით მხარეს მცხოვრებლებისთვისაც?

მე არა მგონია, რომ ჩვენი გამოცემაების აზრი ამ საგანზედ ამ გვარი იყოს, და ეს უყურადღებობა მის მხრივ, ჩემის აზრით, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი საზოგადოობრივი ცხოვრება მეტად კოჭლობს, და კიდევ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ჩვენი გაზეთებისგან უყურადღებონი რჩებიან ხოლმე იმ გვარი ცხოვრების მხარეები, რომელნიც თვით ლიტერატორების ცხოვრების სფერაზედ ძალიან შორსა სდგანან.

ამ გვარად, საზოგადოების ყურადღებას მოკლებული ეს სახელოსნო გამგეობა აქამდის მიემგზავსებოდა უფრო რამე კერძო-პირის ანუ წრის დაწესებულებას. და როდესაც საზოგადოობრივი რამე დაწესება კერძო პირის თუ წრის დაწესებად გარდაიქცევა და მიიფარება საზოგადოების ყურადღებისაგან, მაშინ,—როგორც ჩვენ ცოდვილ ქვეყანას და ზნეობას შეჰფერის, უეჭველია, გაჩნდება მასში ყველა გვარი ბოროტმოქმედება, დიაღ მავნებელი, არათუ მარტო იმ საზოგადოებისათვის, ვისაც დაწესებულება ეკუთვნის, არამედ მთელი მცხოვრებლებისთვისაც, ვისთანაც იმ დაწესებულების პატრონებს რაიმე კავშირი აქვსთ ცხოვრებაში.

სწორედ ასე მოუვიდა ჩვენი თფილისის სახელოსნო უპრავას. ეს დაწესებულება მთელი თფილისის ხელოსნების სარგებლობისათვის და მათი საქმეების წესიერად მმართველობისათვის დადგენილი, შეიქმნა ერთი-ორი კაცის სავაჭრო კანტორად და ეს კაცები ისე გამგეობდნენ მასში, როგორც ვაჭარი თავის დუქანში, როგორც პატრონი თავის ხელქვეითებზედ, უკონტროლოდ.

ამ ჟამად არ გამოვეკიდები ყველა მის მოქმედების მხარეს, მაგალითად: სამართალს, გამგეობას და სხვა; არამედ ორიოდე სიტყვას ვიტყვი მის ნივთიერებით მხარეზედ, ე. ი. შემოსავალ-გასავალზედ, და ამისათვისაც ავიღებ მიახლოვებით რიცხვებს, უმცირეს ზომას, რადგან უპრავის დავთრები ხელში არა მაქვს და თუნდაც მქონდეს, მაინც ვეჭობ, რომ იმათში ნამდვილი რიცხვები მეპოვნა.

უპრავას რამდენიმე რიგი უმთავრესი შემოსავალი აქვს; ესენი არიან:

ა) ატტესტატის გარდასახადი. ატესტატი ეძლევა ქარგალს,-რომელსაც, ხელობის სწავლის, გამოცდის შემდეგ, ოსტატის წოდების ღირსად შერაცხვენ. ატესტატი ღირს 25 მანეთი და წელიწადში, სულ მცირედი რომ ვსთქვათ, ასი მაინც უნდა გავიდეს; ეს შეადგენს—2,500 მ.

ბ). ქარგლების მოწმობა. ღირს 10 მანეთი და წელიწადში გავა 100, სულ შესდგება—1,000 მ.

გ) ქარგლების საანგარიშო წიგნები. თითო წიგნი ღირს 30 კაპ. და წელიწადში გავა 5,000; სულ — — — — — 1,500 მ.

დ) უწყებების (პოვესტკების) გარდასახადი. თითოზედ ახდევინებენ ორ შაურს; დღეში ათი მაინც გავა — — — — — — 365 მ.

ე) კონტრაქტების შემოსავალი. უპრავა ახდევინებს კონტრაქტებს შემოწმობისას და დასაწერს 2 მან. და 50 კაპ. ამისთანა კონტრაქტები, საშუალო რიცხვით, დღეში სამი მაინც დაიწერება, წელიწადში სამასი დღის ანგარიშით—750 მ.

ვ). ჯარიმა, რომელიც გარდახდებათ ხოლმე რაიმე რიგად დამნაშავე ხალხებს. საშუალო რიცხვით რო თითოზედ ორი მანეთი ვიანგარიშოთ და წელიწადში ამნაირი შემთხვევა შვიდას ჯერ—ეს შესდგება — — — — — — 1,400 მ.

ზ) მანეთზედ ერთი შაური (5%) გადასახადი იმ ფულიდგან, რომელიც უპრავის გარდაწყვეტილებით გადახდება ხელოსანს ვისმე საჩივრის გამო. ამ გვარი გარდაწყვეტილების ჯამი რომ ოცი შაური ვიანგარიშოთ — — — — 300 მ.

თ) ამ გარდასახადების გარდა უპრავა ახდევინებს ყველა ოსტატებს ეგრეთ წოდებულს სტოლის ფულს 1 მანეთიდგან 3 მანეთამდის თითოს, და საშუალო რიცხვით რომ 1 მ. 50 კაპ. ვიანგარიშოთ და მთელი თფილისის ოსტატებიდგან რომ 800 კაცზედ მეტმა არ მისცეს, სულ შესდგება — — — — —1,200

სულ შემოსავალი —9,015 მ.

აქედამ გასავალი არის, სულ ბევრი რომ ვსთქვათ:

ა. სეკრეტრის ჯამაგირი—600 მ.

ბ). ორ მწერალს — — 500 მ.

გ) კანცელლარის ხარჯი—1,000 მ.

დ) სახლის ქირა (თუმცა ამ ჟამად მუქთია) — — — — — 360 მ.

ე) ორ სტოროჟს — — 360 მ.

ვ) მოულოდნელი (თუ საჭიროა) 1,000 მ.

ზ) თუმცა დადებული არ იყო, მაგრამ ვსთქვათ გამგეობა თავის მხრივ, შინაურულად აძლევდა უფროსს სტარშინას ჯამაგირად 2,000 მ.

სულ გასავალი — — 5,820 მ.

ეს რომ შემოსავლიდგან გამოვრიცხოთ, წელიწადში ნაღდი უნდა დარჩენილიყო 3,195 მ. და ამ ექვსის წლის განმავლობაში ერთად 19,170 მან.

ამას გარდა ხელოსნებს ჰქონდათ 12,000 მანეთი, რომელიც ოთხმა უსტაბაშმა მოიგო საამქროდ აღებულის თევზის იჯარიდგან და რომელზედაც 1868 წელში მაშინდელმა ქალაქის თავმა თ. თუმანოვმა გამოუცხადა ხელოსნებს. ვიცით მხოლოდ ამ ფულიდგან ექვსასი თუმანი გარდაიდო თფილისის სახელოსნო შკოლის ასაშენებლათ 1874 წელში. მაგრამ გამოცხადებიდგან (1868 წლიდგან) ამ დრომდის, ექვსის წლის განმავლობაში, ხუთი სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, 12,000 მანეთს მიემატებოდა, 3,600 მან. და შეადგენდა 15,600 მანეთს, და აქედგან რომ ექვსასი თუმანი გავიდეთ, უნდა დარჩომილიყო 9,600 მანეთი რომელიც ამ ჟამად, გასული, 1875 და 1876 წლის სარგებელიც მიემატოს (960 მან.),—ეს ფული სულ უნდა იყოს ახლა ნაღდი ფული 10,560 მან.

ამ გვარად, ჩვენის ანგარიშით თფილისის ხელოსნობას ამ ჟამად უნდა ჰქონდეს თანხა, თითქმის ორი

---

## ფელეტონი

### ფარეშობა

სიტყვა „ფარეში“, ისე როგორც „ბიჭი“, სპარსულია; პირველი ნიშნავს ხელზე მოსამსახურეს და მეორე შვილს.

ძველს დროში, როცა ჩვენში განსვენებული ბატონყმობა არსებობდა, სამსახური ერთგვარი არ იყო: გლეხები იყვნენ სხვა და სხვა გვარად მეტნაკლებ დაბეგრულები და თითქმის პროგრამმით საშვილისშვილოთ გადადიოდა ეს გადასახადი: რაც არ ემართა გლეხს, ბატონი მის მეტს ვერ გარდაახდევინებდა.

მაგალითად ავიღოთ აზატი გლეხი. იმათ ემართათ მხოლოთ ფარეშები; გამოიყვანდნენ სასახლეში ერთს პატარა ბიჭს, დასტოებდნენ და ამით თავდებოდა მათი ალიანჩალიანი. მებატონეებს რომ არ სდომებოდათ, მაინც ძალა-უნებურად უნდა დაეტოვებინათ ეს ფარეშები, რომ ბეგარა არ შეერჩინათ გლეხისთვის.

ამ გვარათ დიდ ოჯახებში ორმოცობით და სამოცობით მოიყრიდნენ თავს ფარეშები.

ახლა ვნახოთ—ეს ფარეშები სად იყვნენ და როგორა ცხოვრებდნენ. ესენი ცხოვრებდნენ ერთობით გოჭებივით ერთს დიდს სახლში, რომელსაც საფარეშო ერქვა. არც სახაბაზოში და არც სამზარეულოში მათ ხელი არ ჰქონდათ.

აი რაში მდგომარეობდა მათი სამსახური: დილას ადრე ბატონი გამოიღვიძებდა, სასახლიდამ დაიძახებდნენ: „ბატონმა გამოიღვიძა!“ იგრიალებდა საფარეშოდამ ამდენი გრო და აცვივნდებოდნენ სასახლეში; ერთი ახალუხს წამოავლებდა ხელს, მეორე ჩოხას, მესამე ქუდს, მეოთხე ფოსთლებს, მეხუთე შარვალს და მიართმევდნენ ნებიერათ წამომდგარ ბატონს, სხვა ფარეშები, რომ აღარაფერი დაურჩებოდათ ხელში, იქვე ერთი მეორეს უძახოდნენ: „მიართვით ბატონს!“ ახლა პირის ბანაზე მივარდებოდა საქმე. ერთს ტაშტი ეკავა ხელში, მეორეს სავარცხელი, მესამეს პირსახოცი; დანაშთენები კი ისევე იძახოდნენ: „დოუსხი ბატონს!“

ეს იყო სულ მათი დილის სამსახური, ამით თავდებოდა; მაგრამ, ვაი მათი ბრალი, თუ ბატონი ცუდ გუნებაზე იქნებოდა ამდგარი: ამიზეზდებოდა: აი წყალი ვერ დამისხით კარგათო, თუნგი ცუდათ გიჭირავსო, ტაშტი გაგვარდება ხელიდამო, სავარცხელი გაგისვრია, პირსახოცზე რაღაც მილოლავსო! და შეიქნებოდა ერთი ლაწა-ლუწი.

ამ გვარათ გადარჩებოდნენ და მეტი საქმე აღარა ჰქონდათ შუადღემდი; სასახლეში სიცოცხლის ნიშანი აღარ ჩნდა, მიწყნარდებოდა ყოველიფერი. ამ დროს გადმოსძახებდნენ აივნიდამ: „ბატონმა სადილიო!“ ამას გოგოები დაიძახებდნენ,—მათი საქმე იყო. ამ მალიკურ ხმაზე შეიძროდა, აღელდებოდა მთელი სასახლე სახაბაზოდამ, სამზარეულოდამ და საფარეშოდამ ერთხმათ გამოიჭექდნენ: „მოვდივართ, მოვდივართ!“ ყველას წინ მოდის მოურავი ძალ-დატანებულ ხველებით, უკან მოჰყვება მზარეული მისის ამალით. თავზე ხონჩებით, ხელში ქოთნებით და, რა გინდ საოცარი წვიმა იყოს, თავსახურავები არა აქვთ. მხოლოთ ეს განსხვავება იციან ავდრისთვის, რომ უფრო ჩქარა წამოიღებენ. ხან-და-ხან სიჩქარით დაუსხლტებოდათ ფეხი, გახდებოდათ მიწაზე ტვლეპა და ყოველი კუთხით განიბნეოდნენ ხორცის ნაჭრები, ვითარცა თესლი პურისა. მაგრამ ამას არა უჭირდა-რა: განწმენდილ ჰყოფდნენ კალთითა ჩოხითა და უკუნ აქცევდნენ ხონჩასა ზედა.... მაგრამ, თუ ქოთნიანი ვინმე წამოიპლაკებოდა, მაშინ კი, რადგანაც ხარშოს გაწმენდა არ მოუხერხდებოდა, პირმოტყუებული ბატონები გამწარებულები პირის წლაკუნით ხელს მიჰ-

ათას ცხრა ასსამოცდა ცამეტი თუმანი (29,730 მ.) და ამ თანხიდგან ჩემის აზრით ქალაქის გამგეობაში (ქალაქის უპრავაში) უნდა იყოს 10,1560 მანეთი და სახელოსნო უპრავაში 19,170 მ.

მაგრამ, არა თუ ამდენი, არც ამის მეათედი არა აქვს უპრავას. რა მიზეზით არის ეს? რომელი ბოროტმოქმედებით მოხდა ეს? ვინ არის ამის დამნაშავე?—ამაზედ აქამდის არავის ამოუღია ხმა, არც ხელოსნობაში და არც საზოგადოებაში.

ეს კი იყო, რომ ორიოდე წლის წინად ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო განჩხრეკა და შემოწმება (რევიზია) მოეხდინა სახელოსნო უპრავის საქმეებისა და ამისათვის ცალკე კამისია დანიშნა. მაგრამ რა ჰქმნა, რა გაარიგა, რა გაიგო, რა შაიტყო ამ კამმისიამ გაათავა მინდობილება, იპოვა რამე, თუ არა?—ამაზედ ჯერ არაფერი გამოუცხადებია-რა იმას.

აი ამ გარემოებაშია ამ ჟამად ჩვენი სახელოსნო უპრავის ნივთიერი მდგომარეობა. მის ხელოვნებითს და ზნეობითს მხარეზედ ვინლა რას იტყვის! და დარწმუნებული ვარ, რომ ამაზედ კეთილი რამე არავის'აც არ გაუგონია იმათგან, ვისაც რამე საქმე ჰქონია ჩვენ ხელოსნებთან.

ეს ხომ ასეა და მაინც კიდევ უ. უფროსი სტარშინა ვალინგი და მისი ამალა ამ ჟამად კიდევ იმასა ცდილობენ, რომ სხვა და სხვა ოინებით მოახერხონ და საკუთაროდაც ითევზაონ მღვრივე წყალში, როგორც უკვე იყო ნათქვამი „დროების“ ზემოდმოხსენებულ ნომერში!

დროა ახლა კი, მგონია, რომ ხელოსნებმა რამე ღონისძიება მიიღონ და მათი საქმისა და კეთილდღეობის დამაბრკოლებელი პირნი მოიშორონ თავიდგან და საქმის მცოდნე და პატიოსანი დააყენონ მათ ნაცვლად.

მათ უფრო საჭიროა ასე, რომ ხელოსნობა დიალ დიდ ნაწილს შეადგენს ტფილისის მცხოვრებლებისას; იმათ ყველა წოდების ხალხზედ უმეტესად უჭირსთ ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესობა. ეს გაუმჯობესობაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოსნების შემოსავალს ოორიოდე კაცი კი არ ჩაიდებს ჯიბეში, არამედ თითონ ხელოსნებსვე დარჩებათ რომელიმე თვისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

დასასრულ გამოვაცხადებ სურვილს, როგორც ჩემსას ისე რამდენიმე ასი და ათასი ჩემისთანისას, რომ უპრავის საქმეების გასაჩხრეკად დანიშნულმა კომისიამ დროზედ გამოაცხადოს თავის მინდობილების შედეგი და მით საკუთაოდ მაინც გვასწავლოს ჭკუა.

ვინმე ხელოსანი

## დღიური

*** გასულს ორშაბათს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნული იყო სხდომა საზოგადოების ახალი თავს-მჯდომარის ამოსარჩევლად, რადგან ძველმა თავს-მჯდომარემ უფ. ასტაფიევმა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა.

კენჭის-ყრის დაწყებამდინ ძველმა თავს-მჯდომარემ წაიკითხა საზოგადოების წესდების მუხლები, რომელშიაც გარკვეულნი არიან—თუ როგორ უნდა მოხდეს ხოლმე ახალი კენჭის-ყრა. შემდეგ უფ. ასტაფიევმა წაიკითხა იმჟამად მიღებული წიგნი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის უფ. პენჩინსკისა, რომელიც აგრეთვე უარს აცხადებდა ამ თანამდებობაზე.

კენჭის-ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამეურნეო საზოგადოების თავს-მჯდომარედ ერთხმად ამორჩეულ იყო თ. დიმიტრი ჯორჯაძე, რომელმანც შესაფერის სიტყვებით დაუმადლა საზოგადოებას ამ პატივისცე-მისათვის და დაპირდა, რომ შეძლებისა-და-გვარად ეცდება თავის მოვალეობის ასრულებას.

ახალ ვიცე-პრეზიდენტის აღმორჩევა მარტამდინ გადადვეს.

*** ამავე დღეს ჩვენს ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო ჩვეულებრივი სხდომა; მაგრამ, რადგან, 23 კაცის ხმოვანის მეტი არ მოვიდა, ამის გამო სხდომა ვერ შესდგა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ სხდომაზე საბოლოოთ უნდა გადაწყვეტილიყო ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის საქმე, რომლის წესდების დამტკიცება და გახსნა ასე გვინდება.

*** გაზეთ „კავკაზს“ გაუგონია, რომ უ. ლაქსინის მაღაზიიდამ წაღებული თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ნივთები ყველა უნახავთ, ქურდები აღმოუჩენიათ და კიდეც დაუჭირავთ.

*** თეატრის მოყვარეთათვის ახალს სასიამოვნო ამბავს გვაცნობებს „ტფილისის მოამბე.“

კამისიას, რომლის თავს-მჯდომარედ თ. სვიატოპოლკ-მირსკი იყო და რომელსაც მინდობილი ჰქონდა ტფილისის მომავალი თეატრის შენობის პროექტების განხილვა, გაუთავებია თავის შრომა. სულ ოთხი პროექტი ყოფილა წარდგენილი; იმათში პირველი საჩუქარი (პრემია) მიუღია პეტერბურღელ არხიტექტორს უფ. შრეტერს, რომელსაც თავის პროექტისათვის 1,500 მანეთი გადაუწყვიტეს.

ამ პროექტით ქალაქის თეატრის აშენება 350 ათას მანეთზე ძვირად არ დაჯდება. ახალი თეატრი ალექსანდროვის ბაღში უნდა აშენდეს, ბაღის ზემო ნაწილში, იქ საცა ახლა შადრევანია; ოთხივ კუთხივ შემოსავალი იქნება.

უფ. შტრეტერის პროექტი ამჟამად დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკს აქვს წარდგენილი დასამტკიცებლად, რომლის შემდეგაც თეატრის აშენებას შეუდგებიან.

„ტფილისის მოამბე“ გვაიმედებს, რომ ამ სამი წლის განმავალობაში ჩვენი ახალი თეატრი მზათ იქნებაო.

*** ყვირილიდამ გვატყობინებენ, რომ ადიდებულმა ყვირილამ გააფუჭა დიდი ხიდი რკინის გზისა ამ მდინარეზედ; პასაჟირები აქ გადადებულ ფიცრებზე დაიარებიანო. „ტფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ამ ხიდის გაკეთებას რამდენიმე თვე მოუნდებაო, რადგან იმის ნაწილება ინგლისიდამ უნდა დაიბარონო.

*** ჩვენი ალექსანდროპოლელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ იმ დიდ-ძალი ჯარის გამო, რომელიც ამ ქალაქში არის ამ ჟამად დაყენებული, საშინელი სიძვირე გაჩნდაო. მაგრამ, როგორც სამხედრო პირები, ისე ადგილობრივი მცხოვრებნი მხნეთ ითმენენ ყოველგვარ შევიწროებასაო.

იგივე კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ამ მოკლე ხანში იქაურ კლუბში გაუმართავთ—ერთი სპექტაკლი და ერთიც კონცერტი, რომლის შემოსავალი კეთილი მიზნისთვის ყოფილა დანიშნული.

*** ახალციხის კეთილის-მყოფელ საზოგადოებას, როგორც გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაუწყვეტია, რომ, რადგან ზოგიერთ წევრებს ჩვენის საზოგადოებისას ჩვეუ[ლებრივი] [ყოველ]თვიური შესაწევრი ფული არ შემოაქვთ და საშუალება შემოგვაკლდაო, ამის გამო ჩვენს უფასო შკოლაში, ექვსი წლის კურსის ნაცვლად, მხოლოდ სამი წლის კურსი იყოსო და მასწავლებელი-ქალიც მხოლოდ ერთიო. ამას გარდა, ამავე სხდომაზე დაუდვიათ, რომ ხსენებულ საზოგადოების წევრთა ჩამოიარონ ქალაქში და თითო-ოროლა კაპეიკობით მოკრიბონ ფული ამ საქალებო უფასო შკოლისათვის.

## ქუთაისის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1877 წლისა

## გასავალი

ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი გ ა ს ა ვ ა ლ ი

1. ქ ა ლ ა ქ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: ქალაქის თავს წელიწადში ჯამაგირი—2,400 მანეთი; ორ წევრს ქალაქის გამგეობისას და სეკრეტარს—3,400 მან.; ერთს აღმასრულებელს ჩინოვნიკს—600 მ.; ამის ორ მიკრიკს—240; მწერლებისათვის 1000; კანცელარიის, ტიპოგრაფიის და სხვ. ხარჯის—900; რჩევის სადგომის—700; ხარჯის 4 ამკრებისათვის—1,200. სულ—10,440 მან.

2. ქ ა ლ ა ქ ი ს პ ო ლ ი ც ი ი ს თ ვ ი ს: შტატით—12,868 მან.; პოლიციის ყარაულებისათვის—5,000; ამათი სადგომი—200 მან.; ქალაქის არხიტექტორს—975 მან.; ქალაქის ექიმს—980; ბებიის—390; ფერშლის 200; მწერალი და ყარაული საპყრობილეში—240; ცეცხლის კამანდის ზედამხედველს—180. სულ—21,033.

3. ჯ ა რ ი ს კ ვ ა რ ტ ი რ ი ს ფ უ ლ ი: ქალაქის მუდმივი ჯარისთვის—11,000; დროებითად დაყენებულ ჯარისათვის—1,000 მან.

4. ქ ა ლ ა ქ ი ს გ ა ნ ა თ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს—2,800; ილლიუმინაციისათვის—250.

5. ქ უ ჩ ი ს რ ე მ ო ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს—2,500; ორის ხიდის რემონტი—200.

6. ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს ა და კ ე თ ი ლ-მ ო მ ქ მ ე დ დ ა წ ე ს ე ბ ა ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: ერთი სტიპენდიის წმ. ნინოს ქალების სასწავლებელში—220; ქუთაისის ქალების უფასო შკოლას—1,200.

7. წ ვ რ ი ლ ი და ე რ თ დ რ ო ე ბ ი თ ი გ ა ს ა ვ ა ლ ი: ბაღის—300,

---

ყოფდნენ ტყაპა-ტყუპს. მაგრამ ეს იშვიათად მოხდებოდა ხოლმე.

დარში კი ყოველთვის ღვთისწყალობით ასრულებენ თავის მოვალეობას. სამზარეულოდამ ისე მოდიოდა ლიტანია, როგორც ზემოთ ვსთქვით; მათთან სახაბაზოდამ მეორე ლიტანიას ერთათ მოჰქონდა პურები. სატარეშოდამ მწკრივათ მიეშურებოდნენ სასახლისკენ ფარეშები.

ამავე დროს, იცემდნენ თუ არა სუნს, წინა უსწრებდნენ ამათ ყველა ძაღლები, კატებიც იქით მიზრიგინობდნენ ჭყავილ-ჭყავილით და ხანდა-ხან წუწკი ლორებიც კი აჭყივლდებოდნენ ხოლმე. ეს ყოველი უცნაური მოძრაობა მიმართული იყო სასახლისკენ.

აქედამ დაიწყება ფარეშების საშუადღეო სამსახური. მოიტანდნენ, დადგამდნენ გრძელ ოთხ-ფეხიან ხის სუფრას,—უკაცრავათ, ოთხფეხიანს კი არა, სამ ფეხიანს, რადგანაც ცალი ფეხი ამ სუფრას ყოველთვის დაკარგული ექნებოდა. სუფრა ყანყალებდა და რადგანაც საჭირო იყო მეოთხე ფეხიც, გულ-მოსული ბატონები თითო-თითოს უთავაზებდნენ ფარეშებს; მოარბენინებდნენ მეოთხე ფეხს. შეიქნებოდა ერთი ფეხის კვეტება, კაკა-კუკი; ბოლოს როგორც იქნებოდა დამშვიდდებოდნენ ბატონები. მაგრამ უბედურება ამით არ თავდებოდა მაინც: ხშირათ, მიჰყოფდნენ ხელს ჭამას თუ არა, უეცრათ სუფრა დაინძრეოდა და ჭურჭლები იწყებდნენ გრიალს! მაშინ კი მიხვდებოდნენ ხოლმე, რომ ეს შეჩვენებული ძაღლები შემომძვრალან სუფრას ქვეშ და ხორცის სუნ-ნაცემები დაიწყებდნენ ხვანხვალს. ხან-და-ხან ულუფასაც მოიტაცებდნენ ხოლმე. სიცოცხლე-გამწარებული ბატონი დაიღრიალებდა ხოლმე: „არიქა, თქვე ოხრის შვილებო, გვიშველეთ, გამოაგდეთ ძაღლები!“ ფარეშები მოცვინდებოდნენ ჯოხებით და დაუწყებდნენ ჩხიკინს ძაღლებს; მაგრამ ძაღლები ჰფიქრობდნენ: „რაღა შიმშილს მოვუკლავართ და რაღა ჯოხებს!“ ადვილათ არ ანებებდნენ თავის პოზიციას. შეიქნებოდა ერთის მხრით ძაღლების ღრენა-ყეფა და მეორეს მხრით ბიჭების ერთ-პირი „ა გამოდი!“ და მესამეს მხრით ბატონის ქაქანი: „ჰკა მაგას!“ დიდის ტანჯვის შემდეგ აჭყავლებულ და თეძო-ათრეულ ძაღლებს დაიფრენდნენ წინ და შფოთს გადარჩენილი და გამხიარულებული საყლაპავათ მომზადებული ბატონი სიამოვნებით მიაქაქანებდა დამარცხებულ და განდევნილ ძაღლებს და თან მიაყოლებდა: „ეპპპუ, დაგესხათ თავს-ლაფი, თქვე წუწკებო, თქვენ!“ და ამას რომ გაათავებდა, სიამოვნებით სუფრას გადაავლებდა თვალს. მაგრამ დახედე აქაც მაგათ უბედურებას: იმ დროს, როცა ბატონ-ყმობის ყურადღება სუფრის ქვეშ ძაღლებზე იყო ხოლმე მიქცეული, კატები სარგებლობდნენ მარჯვე დროთი და იტაცებდნენ სუფრიდამ ხორცს. ახლა ამათ გამოუდგებოდნენ: შეიქნებოდა ერთი ვაი-უშველებელი, ყვირილი: „აცხა, აცხა! არ გაუშვათ, არ გაუშვათ!“ გარბიან და გამორბიან ფარეშები ერთი ოთახიდამ მეორე ოთახში, ერთი მეორეს ეჯახებიან, რადგანაც კატები ზოგი იქით გარბიან და ზოგი აქეთ; ეცემიან, ცხვირ-პირს იმტვრევენ, და აქ მოთმინებიდამ გამოსული ბატონი ხან ერთს უშიშვლებს ჯოხს და ხან მეორეს. ბოლოს, როგორც იქნება, ჰსძლევენ კატებსაც და ამ გვარათ აღუდგენდენ ბატონს სადილს და ყველანი ერთათ დამშვიდდებოდნენ.

საკვირველია, რომ ეს ამბავი ყოველ დღე ასე იყო ხოლმე: იტანჯებოდენ ბატონები, იჩაგრებოდენ ფარეშები, თითქოს აუცილებელი უბედურება ყოფილიყოს მათ თავზე ზეცით მოვლენილი და იმდენათ უზრუნველები იყვნენ, რომ ვერ მოეხერხებიათ სუფრის ფეხის შეყენება და კატ-ძაღლების სადილობის დროს დამწყვრევა.

ესევე ამბავი იყო ხოლმე ვახშმათაც.

სადილობიდამ ვახშმობამდი თავისუფლები იყვნენ. ხანდიხან კი მოიტანდენ ხოლმე თითო კონა შეშას.

იორდანის—50; ქალაქის საათის—92; ადგილობრივ პავკ. აქეთა მხრის შემოსავალს—300; ცეცხლის საქრობ მაშინების რემონტი და ახლების ყიდვა—1,000.

სულ ჩვეულებრივი გასავალი, მუდმივი—46,485 მან. და დროებითი—5,900 მან.

**Უჩვეულებრივო გასავალი**

8. ვალების გადახდა—2,488 მან. $14\frac{1}{2}$ კაპ.

9. წინა წლების აუსრულებელი გასავალი—35,968 მან. 17 კაპ.

სულ გასავალი—90,601 მ. და 31 კაპ. (აქედამ მუდმივი—46,486 მან. და დროებითი—44,116 მან. 31 კაპ.

### შემოსავალი

**ჩვეულებრივი შემოსავალი**

1. ქალაქის ქონებისა და სახარჯო საგნებიდამ: წონისა და ზომის—3,059 მან. 55 კაპ.; საყასბოს—2,200; ეკლარის ქვის სამტვრევიდამ—120 მან. 50 კაპ.; ასაშენებელი მასალების ქუჩებზე დაწყობისათვის—100; ქალაქის მიწების სარგებლობისათვის—200; რიონზე მოტანილის ტივების—190; ხიდების შემოსავალი—7,500 მან.

2. უძრავი მამულების დაფასების ხარჯი—17,000 მან.

3. სავაჭრო ბილეთები და მოწმობის გადასახადი—5,000; ტრაქტირების—1,500; ბირჟის ფაეტონების—500; ურმებისა და ტაჩკების—50 მან.

4. ნოტარიატისა და შემთხვევითი შემოსავალი: აქტების—1,500; ჯარიმის ფული დროზე ქალაქის ხარჯის შემოუტანლობისათვის—100 მან.

5. შემოსავალი გარეშე წყაროებიდამ (ხაზინიდამ და სხვა)—16,250.

სულ ჩვეულებრივი შემოსავალი, მუდმივი—47,770 მან. 50 კაპ., დროებითი (ხიდების) 7,500 მან.

**Უჩვეულებრივო შემოსავალი**

1. წინა წლების გადაუხდელი ხარჯის მოკრება—29,088 მან.

სულ შემოსავალი—84,359 მან. და 10 კაპ. (აქედამ მუდმივი—47,370 მან. და 50 კაპ. და დროებითი—36,588 მან. და 60 კაპ.)

ამნაირად 1877 წლის გასავალი 6,242 მანეთითა და 21 კაპეიკით გარდაემეტება შემოსავალს.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

### ქუთაისის ცხოვრება

ძველი იმერლის ხასიათი—ორი წრე ძველი იმერლისა: თავის პერანგი და თავის იმერეთი—ახალი თაობა—„ფული გაქვს, თუ არა?“—ჩვენი ახალგაზდობის ტიპები—ბულვარში გასეირნება—თხუნველა—ფუტკრები—ბეწვის ტანისამოსიანნი: „პროფესსორ დო დრობეი“ და „პროფესსორ სპეციალნო მოლიტვო.“

ქაი ხანია, რომ იმერელს თავის-თავის მეტი აღარავინ ახსოვს, ყველა ვიგინდარათ მიაჩნია და უსარგებლოდ. მას თავის ცხოვრებაში შემოუხაზავს ორი ერთი-მეორეზე უფროსი და ერთი მეორეში მყოფი წრე თავის მოქმედებისათვის, და მხოლოდ იმათში ჰფიქრობს, რომ მოწინააღმდეგესა და მტერს ვერ ნახავს, და ნამდვილ დარწმუნებული არც იმათშია.

გინდათ შეიტყოთ, რა წრეებია ეს წრეები? ერთი წრე გახლავს ის პერანგი, რომელიც აცვია მას ტანზე და მეორე იმერეთი. გარეშე ამ წრეებისა თუ სადმეა ხალხი, თუ სადმეა კერძო პირები, რომელთათვის მისი ცხოვრება და ბედი საინტერესოა, რომელთანაც მას ერთობა უნდა ჰქონდეს მტკიცე, არ ჰგონია. თუ შენ იმისთვის სიკეთე გინდა რამ ისე, რომ სახეში არ გქონდეს მატერიალური ჯილდო შენთვის,—ამის წარმოდგენა არ შეუძლიან. მაგალითად. ჭიზიყი მისთვის დასაკარგავი ადგილია. როდესაც უნდა შორი, უცხო და დასაკარგავი ადგილი ახსენოს, „ჭიზიყიო“ გეტყვის.

მაგრამ სანუგეშოთ უნდა გითხრათ, რომ ამისთანა კაცები მომავალნი კი არ არიან, წარმავალნი არიან. ახლა ისინი უკანასკნელად ჰლაფავენ სულს, რომ ერთი კიდევ გადაჰყლაპონ ცოტაოდენი ჰაერი და საუკუნოთ გაუდგნენ გზას. საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ იმ გვამებს, რომელნიც გვიძღვნა შავ-ღრუბლიანმა დღეებმა, რომელნიც ამ შავ-ღრუბლიან დღეებში სინათლე მოკლებულნი შეიქნენ და დაიარებიან ბნელ გზებზე, მხოლოდ ვერცხლის და ოქროს ჩხარა-ჩხურის ხმაზე მინდობილნი...

ახალი თაობა, ახალი ჰაზრის კაცები სულ სხვანაირნი არიან. მათთვის ყველგან სამშობლოა, ყველგან ძმები და მეგობრებია: ქუთაისშიაც, თფილისშიაც, ჭიზიყშიაც და სურამშიაც; იმერეთშიაც, სამეგრელოშიაც, ქართლშიაც და კახეთშიაც. ამ კაცებთან ჰსჯობს სიკვდილიც და სიცოცხლეც. ბურთი და მოედანი უსათუოდ მათი იქნება. ფიზიკურად შეუძლებელია, რომ სხვანაირად წავიდეს საქმე....

ახლა მინდა აქაური ამბავი გაცნობოთ.

მაგრამ რა მოგწეროთ საინტერესო? ჩვენი ცხოვრება, პროვინციალური ცაოვრება, უშინაარსოა, უფერულია. საზოგადო, საამური და გულის გამამხნევებელი ცოტაა შიგ რამე. მოსურნე, რომ ამ ცხოვრებას რამ ხეირიანი ფერი და შინაარსი მიჰსცეს, ცოტაა ჯერ-ჯერობით და მათი მოქმედება ვერ შვრება დიდს ნაბიჯს, რადგანაც მას განსაკუთრებით ზნეობითი ხასიათი აქვს, რათვისებაც ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის დროის გასატარებელ სალაპარაკო საგანს შეადგენს და ისიც იშვიათად. პატიოსნებაზე და საზოგადო სარგებლობაზე რომ ლაპარაკი დაიწყო, იმერელი იმ წამსვე გკითხავს, როგორც ერთმა აქაურმა ახალგაზდამ იმახვილა: „ფული გაქვს, თუ არაო?“ თუ ფული არა გაქვს, მიიბრუნებს პირს და მოგშორდება. შენს სიტყვას ძალა არა აქვს.

რა მიზეზია? ერთი უნდა გითხრა. Ყოველგან ახალი ჰაზრი, ახალი მიმართულება მიღებული იქნება მხოლოდ გარეგნულად; შეიძლება ვთქვათ, რომ პირველად ის არის უფრო მეტად მოდა, ვიდრე მტკიცე დარწმუნება, გამჯდარი ძვალში და რბილში.

საზოგადო მოქმედების ასპარეზი საშინლად მიმზიდველია. გამოხტება ზედ ერთი ვინმე, რომელსაც საზოგადო მიზნისთვის შრომა მარტო საქებრად მიაჩნია, ილაღადებს ერთ ხანს და მერე, როგორც მოდა, მოჰსწყინდება და მიუბრუნდება იმ წრის ცხოვრებას, რომელსაც გმობდა, აურევს ხელს ამ წვრილმან და ტალახიან საქმეებში, რომლებისთვის ის წინეთ ამ წრეს აძაგებდა. ამნაირად ის ჰხდება თავის ნალაპარაკევ კარგ სიტყვების წინააღმდეგი და მათი მნიშვნელობის მომსპობი ცოცხალის მაგალითით. წამოვიდა ვთქვათ, და ისეთი საქმე ჩაიდინა, რომელმაც დიდი უსიამოვნება შეიტანა რომელსამე სახლეულებაში: მოამდურა დედა-შვილს, მოაცილა საცოლო საქრმოს, შეარყია კავშირი ცოლსა და ქმარს შუა. ამისთანა გახლავსთ ის, ვინც ამას წინეთ საზოგადო ასპარეზზე მომქმედათ სთვლიდა თავს, სხვას კარგ ქცევაზე ელაპარაკებოდა. ვინც საზოგადო საქმისათვის ბევრს ლაპარაკობს, ძმობას და მეგობრობას იდეალათ უხატავს სხვას, ის არავის არც მეგობრობას უმტკიცებს, არც ძმობას, სხვებშიდაც ხშირად განხეთქილებას ახდენს და საზოგადო საქმის და მისი მომქმედის შეწირვასაც ჰსცდის თავის პიროვნულ გრძნობების დასაკმაყოფილებლად და ჯავრის ამოსაყრელად. რომ ვინმემ წამოაყვედროს ეს იმათ, ისინი თავს იმართლებენ და რა სახით მერე, თუ იცით? „შენ ჯერ ცხოვრებას ვერ იცნობო, გამოცდილი არა ხარო, ყველაფერს წრფელის გულით უყურებო; ეს მისთვის ვქენი, რომ საზოგადო საქმეს არაფერი ევნოსო; ვირები საქმეს წაახდენენო“.

Ყველაფერი შეიძლება მოხდეს ქვეყანაზე, მაგრამ ვერაფერი ბედაურია ის ბედაური, რომლის ბედაურობა მის თანამედროვეთათვის გაუგებარია. ერთს სემინარისტს ჰკითხეს თურმე: „როგორია თქვენი ახალი პროფესსორი?“ იმან მიუგო: „მშვენიერია, დიდი მეცნიერია; ისე ილაპარაკებს მთელს ერთ საათს, რომ, რას ამბობს, ვერას გაიგებს კაცი!.“

მაგრამ დავანებოთ თავი ამ კაცებს: იქნება კვლავაც შეგვხვდეს მათი ხსენება.

დღეს დიდი შეკრებილებაა საყდრის წინ, მოედანზე. იქ წავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ, ხალხი ვნახოთ; მერმეთ ბაღში შევიდეთ; იქ უსათუოდ რამდენსამე საინტერესო ცხოველებს ვნახავთ.

მივიარ-მოვიარეთ.

ახლა ბაღში ვართ.

ეს რა ცხოველია, მოგრძო, ტახივით გასუქებული მუდუსავით (თხუნველა) წვრილ თვალებით გამომცქერალი? ეს სწორედ ბნელი სფერის ცხოველი უნდა იყოს. მართლაც, თუ დაუკვირდებით კარგად, დარწმუნდებით, რომ ეს მიწაში მძრომელია; ბოსტანში ხშირად დაიარება, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ იქ რომ ბოსტნეულობის ძირის წამხდენნი ჭიები იყოს და ისინი მოჰსპოს; არა, ამისთანა ჭიები იქ არ არის, თითონ ის ჰკრეფს სადღაც ამგვარ რამეებს და ჰყრის ბოსტანში,

---

აქიდამ სჩანს, რომ ბევრი საქმე არა ჰქონიათ რა ფარეშებს; შეეძლოთ, რომ ეს თავისუფალი დრო თავიანთთვის მოეხმარათ სასარგებლოთ, მაგრამ სიზარმაცისაგან ატანილები მხოლოთ ძილში და ლაქლაქში ატარებდენ თავის ცხოვრებას და გოგოებში გართულები მოუთმოეთობით და „ამანეს თქვაობით“, „იმან ის თქვაობით“ იჩენდენ თავის საქმიანობას.

ხშირად შეფიცავდნენ ხოლმე ერთმანერთს, რომ ჭირშიაც და ლხინშიან მხარი მიეცათ ერთმანერთისთვის და არ მოეთმინათ იმდენი ტანჯვა ბატონის ხელში; მაგრამ საქმით ამას ვერ ახერხებდენ და მათი საიდუმლო მაშინვე გამოაშკარავდებოდა ხოლმე. მაგალითად: გადასწყვეტდენ, რომ ყველანი ერთად გაპარულიყვნენ, გადავარდნილიყვნენ სადმე და გადარჩენოდნენ ბატონის ტანჯვას; მაგრამ ვახშმის დროს, რომ ბატონი ერთ ლუკმა რამეს მოუკითხავდა რომელსამე მათგანს, ან გამონაცვალს რამეს აჩუქებდა, ის მაშინვე გაამხელდა სხვებს.

საკვირველი ეს იყო, რომ რომელიმე ფარეში, მიიღებდა თუ არა სხვებზედ უფროსობას, მაშინვე ივიწყებდა თავის ამხანაგებს და ბატონებზედ უფრო ცუდათ ექცეოდა მათ. და ეს უკანასკნელები იმდენს ვერ ახერხებდნენ, რომ მათი გაყოყოჩებული თანამოძმეები ედევნათ და ეჩაგრათ ყოველს შემთხვევაში.—არა, ესენი ისევ ერთი ერთმანეთში ვერ რიგდებოდენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდენ და ნაცვლად მისა, რომ შეერთებულად საზოგადო მტარვალს გადარჩენოდნენ, ერთმანეთის დევნით ძალა-უნებურად მხარს აძლევდენ ბატონებს და ისუსტებდენ საკუთარს ძალას.

მართალია, ყველას ჰქონდა სურვილი თავის ცხოვრების გაუმჯობესობისა და ზოგიერთს მათგანს ჭკუა მოხერხებული ჰქონდათ; მაგრამ ესენი სხვა-და-სხვა გვარად ჰფიქრობდენ, ცალ-ცალკე მოქმედობდნენ და კერძო თავმოყვარეობისაგან ერთი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ და სდევნიდნენ. ზოგი ამბობდა, რომ ჩვენ მეტი არა გვინდა რა ჯერ-ჯერობით; ჩვენ ვიძინოთ და დრო თავისას მოიტანსო, და ვინც ასე არ ფიქრობს, ის ჩვენი პირადი მტერია და ნუ ვზოგავთ იმათო. ზოგი არაფერს ამბობდა, მაგრამ არც არაფერს აკეთებდა, ვარსკვლავების თვლის მეტს, ან სხვებს სდევნიდა. ერთის სიტყვით, ერთმანეთში კინწლაობას უნდებოდენ და ენის ტლეკას. ამათი შეხეთქის ბრალი ხშირად გოგოებიც კი იყვნენ ხოლმე, და მათის მეოხებით ავ-კარგის გარჩევა ძლარსად იყო. დიდხანს, დიდხანს იქნებოდენ ისინი ტანჯვაში, თუ რომ უმაღლესს მანიფესტს არ გამოეხსნა ისინი მონებიდგან.

ამ სურათს მე ვხატავ იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიც არ მოესწრებიან ბატონ-ყმობის დროს და არ იციან—თუ რა იყო ფარეშობა და მასთანაც გადავსცემ ერთს ლექსს, რომელსაც იმ დროში მღეროდენ:

**ფარეშების სიმღერა**

ამან ეს სთქვა!... იმან ის სთქვა!!
ეს ეს არი!.... ის ის არი!!
ამას ეს ჰქვა!... იმას ის ჰქვა
ეს ისარი!... ის ისარი!

—

მიცით, გვითხრეს სხვებმა სხვისი,
რომ უქმნია რაცლა-რაცლა!...
გაჩნდეს კბენა!... ნძგა, მაგას... სსსი!
მიავ! მიავ! აცხა! აცხა!!...

—

ძაღლი კატას ემუქრება,
კატა მტრულად ძაღლს უყურებს!
მოედანი კი ვირს რჩება...
მღერის, აპანტურებს ყურებს!

—

ამან ეს სთქვა!.. იმან ის სთქვა!
ეს ეს არი!.... ის ის არი!
ამას ეს ჰქვა!... იმას ის ჰქვა!
ეს ისარი... ის ისარი!

აკაკი

რომ მერმეთ გამოააშკარაოს და ამით ვისაც რიგია ერთგულება უჩვენოს და გამსუქებელი საჭმელი მოიპოვოს. ამბობენ ნამდვილს, რომ სიბნელე ამისთვის მიუცილებელი საჭიროებააო; ბნელი ღამე იყოო, რომ ამ ცხოველმა ერთს თავის უფროსს განგებ ხიფათი გაუწყოო, დაახვედრაო მას გზაზე რამდენიმე ცხოველი, ღამის მოხელეები, ვითომ მოსაკლავათ, და მერმეთ, როცა ამათ იმ უფროსს თავის კლანჭებიანი ტატები ყელში ჩაუტარეს და ჭყვირილი დააწყებინეს, გამოჰხტა მეორე მხრიდამ ჩვენი მუდუ-მიწამძრომელი და რამდენისამე თავის მხლებელის შემწეობით სიკვდილისაგან გადაარჩინა თავისი უფროსი. რაღა თქმა უნდა, ამით დიდი კაცთ-მოყვარეობა და ერთგულება იყო დამტკიცებული და მოხდა ის, რომ ახლა ჩვენი მუდუ-მიწამძრომელა ბოსტნის მცველელად გახდა! ერთხელ თურმე, როდესაც ჯერ მუდუთ არ იყო ჩვენი გმირი, მაგრამ დინგი კი ჰქონდა, თაგვის მგზავს ცხოველად კანცელიარიაში დაცუნცულობდა და უცაბედათ ფულებიან ტომარას დინგი ჰკრა, ტომარა გახია... პატებს ჭყავილი შეექნათ; მაგრამ როგორღაც თავი გამოიხსნა კლანჭებისაგან. ან რას ერჩოდნენ! ხომ განგებ არ უქნია? ფულები რა საქირო იყო მისთვის? კაი ბედი იყო, თორემ ბოსტანი ხომ დაილუპებოდა, —ის ბოსტანი, რომელსაც მის-დასაქებრათ ახლა ამისანა მწყემსი ჰყავს?!

აგერ კიდევ ჩასუქებული კარგად არსება, მაგრამ ოთხთვალიანი. ბოროტი ენები ამბობენ, ვითომც ამ არსებას ხელებიც ოთხი ჰქონდეს, რომ უფრო ბევრი მოკრიფოს. მაგრამ ის თურმე ფიცს ამბობს, რომ იმ შენობაში, რომელიც გავმართეო ახლა, ერთი ნამცეციც არ ურევია უსამართლო ოფლიო. ნამდვილ ჩემი შრომით მაქვს ნაშოვნიო. თითონ მე ვიყავი მოსამართლეო და უსამართლობას როგორ ვიქდიო?

-აგერ ჰსხედან რამდენიმე არსება. ისინი ნიადაგ ჰბზუვიან სასამართლოებში. ყურები გამოგვიყრუეს. სწორეთ ბუზები არიან. სადაც ნახვენ ხოლმე ყვავილებს, მსწრაფლ მიასხდებიან და გამოსწოვენ; მაგრამ არ იფიქროთ, რომ ესენი ზოგიერთ ბუზებივით თაფლს აკეთებდნენ. ფუტკართ რიცხვში ესენი თავის დღეში არ ყოფილან; ზოგიერთი ამათგანი სწორედ საინტერესოა.

-ერთი გახლავთ შავი, ცქვიტი, ულვაშებ გაცქიტინებული. ამას რამდენისამე ყვავილის გემო უნახავს. პირველად თურმე საშინლად ლიბერალობდა, კაცთა სარგებლობისათვის ჰსდებდაო თავს; მაგრამ ბევრი სიტკბოება დაურჩებოდა ამ გზაზე მფრინავს უგემოვნებელიო, გამოიცვალა როლი და კანონების დამცველის და გამამტყუნებელის როლი აიღო. კათედრაზე აცმაცურებდა ულვაშებსო. როდესაც დარწმუნდა თავის მჭევრმეტყველობაში, გამმართლებელის როლს მოჰკიდა ხელი, რომ რა არი კაი კაცობის სახელი გაიგდოს და ლუკმაც დიდი მოიგდოს ხელშიო. ეს ბუზი თურმე ყველასთვის არ იწყენს თავს. ბუშინ წინ წაუხთა თურმე ბზუილი. მაგრამ იქნება ყელი ჰქონდა გამშრალი და ბზუილის დაწყების წინეთ არ ჩაუსველებია.

მეორე ამის მზგავსი, ამის ამხანაგი. ისიც შავი იყო, მაგრამ ახლა თეთრ-ზოლებიანი შექნილა, გაჭაღარებულა, უსათუოდ ბევრის ფიქრისაგან. იქნება იმ სიტყვის აუსრულებლობა აწუხებდეს, რომელიც მიჰსცა მან ზოგიერთებს, რომლებმაც ის დაიფარეს სიცივისაგან და შიმშილისაგან, როცა ის კვერცხიდამ გამოვიდა და სულს ჰლაფავდა, სიტყვა, რომლის გასამართლებლად მას არა მარტო თავისათვის უნდა ეზრუნა ბოლოს. მაგრამ არა, შუბლზე ერთი შეჭმუხვნილებაც არა აქვს, გადაწმენდილი აქვს შუბლი, სულ გადარეცხილი; ქინჩიც აუშვია მაღლა ღოღივით. უსათუოდ სხვა მიზეზია რამ.

მძიმედ მოდის ორი რაღაც ცხოველი, მაგრამ ისინი ნამდვილის თვალით არ ჰსჩანან, თუ არ მიკროსკოპით. აბა შეხედე! ბეწვეულ ტანისამოსში არიან გახვეულნი, განსაკუთრებით ყელებზე ძვირფასი ბეწვი აქვსთ. ჩაუვლიან წინ პაწაწა არსებებს, ერთს ფორმაში ჩაცმულებს. ესენი უცებ ადგებიან და სალამს მიჰსცემენ. ესენი სწორედ მოსწავლეები არიან და ის ორი ამათი მასწავლებლები. ამბობენ, რომ ერთს ამათგანს ჰქვია სახელად „პროფესსორ და დრობეი“ და მეორეს „პროფესსორ სპეციალნო მოლიტვო.“ იქნება გამოჩნდეს ვინმე ზოოლოგი, რომ აგვიხსნას ამ ორ ცხოველთა არსებობის მნიშვნელობა. ჯერ ვერა გაგვიგია.

საკვირველია! ცხოველების ცხოვრება საშინლად ემზგავსება კაცებისას...

მაგრამ ახლა კი გავიდეთ ბაღიდამ, თორემ, თუ დაგვესიენ ამდენი მიწამძრომელები, ბუზები, ქურქიანები და უქურქოები, აგვიკლებენ სწორეთ, და თავს ვუშველოთ.

კორტოხელი

ქუთაისი, 19 თებერვალი.

# უცხო ქვეყნები

## სერბია

ზემლინიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ სერბიის მთავარმა მილანმა სკუპშჩინის სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვაო, რომელშიაც გამოაცხადაო, რომ სერბიას ოსმალეთთან ომიანობის გაგრძელება ამ ჟამად სრულიად არ შეუძლიანო და, რადგან ოსმალეთი არ თანხმდება, რომ დროებით მშვიდობიანობის ვადა კიდევ გაგრძელდეს, ამის გამო სკუპშჩინამ დღესვე უნდა გადაწყვიტოს ოსმალეთთან მორიგებაო. ამ სიტყვის შემდეგ, მილანი წასულა სკუპშჩინიდამ. რისტიჩს უამბნია— თუ რა მოლაპარაკება აქვს მმართებლობას ოსმალეთთან და რა პირობაზე შეიძლება მორიგების მოხდენა. სკუპშჩინა ერთხმად დათანხმებულა მორიგებაზე. ეს ამბავი იმ წამსვე უცნობებიათ მთავრის მილანისათვის, რომელიც ხელ-მეორედ მოსულა სკუპშჩინის სხდომაზე და ამ გადაწყვეტილების მიღება მიულოცნია იმისათვის.

## ოსმალეთი

გუშინ მოვიდა ჩვენს ქალაქში პარიჟიდამ დეპეშა, რომელშიაც ეწერა, რომ უეჭველიაო, რომ ოსმალეთი მოითხოვსო, რომ რუსეთმა ჯარები დაითხოვოსო და ომიანობისათვის მზადებას თავი დაანებოსო. ამ საგანსვე შეეხება აგრეთვე მეორე ამბავი, რომელიც ერთს ინგლისურს გაზეთშია დაბეჭდილი: ღენერალ იგნატიევმა ბერლინში გამოაცხადაო, რომ იმას, რუსეთის სახელობით, შეუძლიან სიტყვა მისცეს ევროპას, რომ რუსეთი დაითხოვს თავის ჯარს, მაგრამ იმ პირობით, თუ ევროპა თავის მხრით 1856 წლის პარიჟის ტრაქტატს ჩათვლის გაუქმებულათაო.

— პეტერბურღიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ერთს იქაურ რუსის ოფიციალურ გაზეთში შემდეგი სტრიქონებია დაბეჭდილი: „რუსეთს არ შეუძლიან, რომ ერთი წლის ვადა მისცეს ოსმალეთს თავის სლავიანურ პროვინციებში ახალი ცვლილების შემოსაღებად; ის არ დაითხოვს თავის ჯარს მაისამდინ, რადგან ამ დრომდინ ოსმლეთს კარგათ შეუძლიან დაუმტკიცოს და უჩვენოს მთელს ქვაყანას — ჰსურს იმას მართლა ნამდვალად, საქმით გაუმჯობესობა თავის ქვეშევრდომების შეწუხებული მდგომარეობისა, თუ მარტო სიტყვით აცხადებს ამ სურვილს. სანამ ამ დარწმუნებას არ მიიღებს რუსეთი ან სანამ ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებ შუა ცალკე პირობა არ იქნება ამ საგანზე შეკრული, მინამ რუსეთი ვერ დაითხოვს თავის ქიშინევის არმიას.

— ოსმალეთის ერთი პატარა ქვეშევრდომი მთის ხალხი—მირიდიტები დაიარაღებულან და ამდგარან თავიანთ მმართებლობის წინააღმდეგ; ისინი მიდგომიან ოსმალოს ერთ პატარა ციხეს და აღებას უპირებენო. ამათ დასამშვიდებლად მთავრობას ჯარები დაუბარებია სკუტარიდამ.

## ინგლისი

ინგლისის ფლოტს, რომელიც ადრე ბეზიკის ნავსადგურში იყო და შემდეგ პირეისთან იყო ზღვაში გაჩერებული, ახლა ბრძანება მიუღია, რომ მალტის კუნძულისაკენ გაემგზავროს. ამბობენ, რომ ამ ფლოტის ოსმალეთიდგან მოშორება მშვიდობიანობის ნიშანიაო.


# განცხადებანი

მეიჯარადრე ქალაქის ცხენების გადასახადისა თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი ხ ე ჩ ო ა ბ ა ზ ი ს ძე აბაზოვი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც თავის საკუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიუჟო ფაეტონებისა და დროშკების ცხენები და ტვირთის გადატანისათვის, უ ნ დ ა შ ე მ ო ი ტ ა ნ ო ნ ჩემს კანტორაში გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი, იმ კანტრაქტის ძალით, რომლითაც თფილისის ქალაქის გამგეობა შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე.

ჩ ე მ ი  კ ა ნ ტ ო რ ა  ი მ ყ ო ფ ე ბ ა მე-6 უჩასტკაში, 1 განყოფილებაში, თავად ბებუთოვის სახლებში, თათრის მაედანზე, საიდამაც ჩემგნით დაყენებულის პირისაგან (პოვერენისაგან) მიიღებს ფულების შემოტანის კვიტანციას ჩემ ხელმოწერილს. ჩემი კანტორა გახსნილია დილის 8 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ.

კვირაობით, იარმუკაში, უ. ზაქარია ჭიჭინაძესთან ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები.

(10—5)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი . | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 თებერ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $313^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 190 | — |
| მოგებიანი (მეორე ხესხი) | 190 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 82 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 81 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 727 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 24 თებერ. | | |
| პური შოთრაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 87 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. . | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 7 | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Февраля 1877 г. Типографія Меликова и Кº. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.